PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ელენე ბოდაველი |
| **წევრები:** |
| თამარ ახალაძე |

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: შპს„შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

*<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>*

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

**მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ფერმერი | 16 | 6 | 0 |
| რძის პროდუქტების წარმოება | 16 | 4 | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N588755 ოქმის, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის MES 8 21 0001273665 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით - ელენე ბოდაველი (ჯგუფის თავმჯდომარ) და თამარ ახალაძე (ჯგუფის წევრი - დარგის ექსპერტი). საგანმანათლებლო პროგრამების - „ფერმერი“ და „რძის პროდუქტების წარმოების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ზ) კომპონენტის შესრულების შემოწმებისა და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორნგის ვიზიტის განხორციელება შპს“ შევიცარიული აგრარული სკოლა კავკასიაში“ (მის. დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი).

ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა 15 და 16 დეკემბერს. ვიზიტამდე ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალა, განსაზღვრა დამატებით შესასწავლი დოკუმენტების ნუსხა, შეადგინა და ცენტრის შუამდგომლობით შეათანხმა ვიზიტის დღის წესრიგი.

წინა წარმოების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების 2.2 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსი შეფასდა, როგორც მეტწილი, ასევე მეტწილად შეფასდა მე-5 სტანდარტის კომპონენტი 5.1.

ამ წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ორივე საგანმანათლებლო პროგრამის 2.2 კომპონენტი შეაფასა „სრულ შესაბამისად“ შესაბამისად, მეორე სტანდარტი უკვე არის „სრულ შესაბამისობაში, და აგრეთვე 5.1 კომპონენტი შეფასდა „სრულ შესაბამისად“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს დამატებით დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებლებს, ხარისხის მართვის მენჯერს, უსაფრთხობაზე პასუხისმგებელ პირებს, მატერიალური რესურსების მართვის მენჯერს, ბიბლიოთეკარს, სტუდენტებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს. დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელბისათვის საჭირო რესურსები, შეისწავლეს მათი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. ვიზიტის დასასრულს მიგნებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს დაწესებულების წარმომადგენლებს.

გაწეული სამუშაოს შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა წინამდებარე დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-                                                  -

PDF Eraser Free

## V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | სრულად შეესაბამება |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

**საუკეთესო გამოცდილება / საუკეთესო პრაქტიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებული ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ახალი ცოდნის და გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.**

შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“/პროფესიული კოლეჯი ამზადებს სპეციალისტებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ორ პროფესიულ პროგრამაზე „ფერმერობა“ და „რძის პროდუქტების წარმოება“.

კოლეჯი ჩამოყალიბდა შვეიცარიული ფონდის Swiss South Caucasus Foundation (SSFC) ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული ფონდი 20 წელია მეცნიერებისა და განათლების სფეროში მოღვაწეობს.

კოლეჯის მთავარი პარტნიორი შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა „პლანტაჰოფია“. სკოლა „პლანტაჰოფი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების სრულყოფას, სასწავლო და სამუშაო მასალების შერჩევას, სასწავლო პრაქტიკის დაგეგმვასა და პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას. თეორიულ სწავლებასთან ერთად, გათვალისწინებულია პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც, რისთვისაც კოლეჯის ტერიტორიაზე არის მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტის ყველის ქარხანა.

კოლეჯს აქვს შესაძლებლობა მოამზადოს სპეციალისტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით.

2. **საუკეთესო პრაქტიკის გავლის შესალებლობა**

პროფესიულ სტუდენტს საშუალება აქვს მიღებული ცოდნა ადგილზე განამტკიცოს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ფერმასა და რძის გადამამუშავებელ ქარხანაში, სადაც მეცადინეობებს მაღალი კვალიფიკაციის ქართველი და შვეიცარიიდან მოწვეული სპეციალისტები წარმართავენ. სტუდენტებს აქვთ წვდომა შვეიცარიაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სასოფლო-სამეურნეო სკოლა -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

პლანტაჰოფის სასწავლო მასალებზე, ხოლო წარჩინებულ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკა გაიარონ პლანტაჰოფის საწარმოებში (შვეიცარიაში).

3. **განსხვავებული სასწავლო და საცხოვრებელი გარემო**

სასწავლო დაწესებულებაში არის საერთო საცხოვრებელი, სადაც სტუდენტებს შექმნილი აქვთ სწავლისა და დასვენებისათვის საჭირო საუკეთესო გარემო. წარმოდგენილია სამუშაო და დასასვენებელი სივრცეები, სასადილო, სველი წერტილები, ეზო.
სტუდენტი უზრუნველყოფილია სამჯერადი დაბალანსებული კვებით და ყოველდღიურად საჭირო ჰიგიენური საშუალებებით.
სტუდენტთა გამოკითხვისას ირკვევა , რომ ისინი კმაყოფილნი არიან სასწავლო დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი და სასწავლო პირობებით. ასევე ადმინისტრაციის და მომსახურე პერსონალის მათ მიმართ დამოკიდებულებით.

4. **საუკეთესო პედაგოგები და დარგობრივი ტრენინგები უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით**

სასწავლო დაწესებულებას პედაგოგებად შერჩეული ჰყავს დარგში საუკეთესო კვალიფიკაციის და კომპეტენციის მქონე პედაგოგები. მათი გაძლიერების მიზნით განხორციელდა შვეიცარიაში ვიზიტი. ასეთი ვიზიტები შემდგომშიც არის დაგეგმილი. ვიზიტების მიზანს წარმოადგენს დარგობრივი და პედაგოგიურ - მეთოდოლოგიური მიმართულებით გაძლიერება.

5. **კვლევების ჩატარების გამოცდილება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შპს შვეიცარიულმა აგრარულმა სკოლა „კავკასიამ“ ჩაატარა კვლევა ( ქვეყნის მასშტაბით). შეარჩია და განახორციელა უშუალო ვიზიტი 20 მოქმედ ფერმაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა არსებული სიტუაციის ანალიზი, ფერმერების საჭიროებების წარმოჩენა და თანამშრომლობისათვის საუკეთესო პრაქტიკის ობიექტების შერჩევა.
კვლევაში შესწავლილ იქნა რა რესურსს ფლობს საქართველოს ფერმები (მატრეიალური, მიწის ნაკვეთები, ადამიანური რესურსი და სხვა), როგორია საკვები კულტურების წარმოების მასშტაბები, რა რაოდენობის და ტიპის (გენეტიკის) საქონელია ფერმაში, ვინ ახორციელებს ფერმის მართვას, რა განათლება აქვს ფერმის მმართველს, როგორ არის დაცული შრომის უსაფრთხოება და სხვა პარამეტრები.

6. **ტრადიციული ურთიერთობების განახლება და აღდგენა.**

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოში არსებული ყველის 55 საწარმოდან 33 შვეიცარიელებს ეკუთვნოდა. ისტორიული წყაროები ადასტურბენ იმ ფაქტს, რომ დმანისის და მანგლისის გარემო პირობები შვეიცარიელმა ყველისმწარმოებელმა ფერმერებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს და 1863 წელს დაიწყეს ყველის წარმოება. კოლეჯის ერთ-ერთი კონცეფცია ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების შერწყმაზეა დაფუძნებული.

7. **წარმოების პროცესში ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინება**

როგორც ცნობილია, დაწესებულება გეგმავს რძის პროდუქტების წარმოებისას შექმნილი პროდუქციის რეალიზაციას, აღნიშნულთან დაკავშრებით, დაწესებულება რძის გადამუშავების საწარმოში 2022 წლიდან გეგმავს HACCAP - ის სისტემის დანერგვას. რაც მოიცავს სურსათის ჰიგიენასა და ძირითად წესებს, რომელთა დაცვაც სურსათის უვნებლობისათვის აუცილებელია. ევროკავშრის კანონმდებლობა ითხოვს, რომ სურსათის ჰიგიენის მოთხოვნების რეალიზება საწარმოში ხორციელდებოდეს ე.წ. „ჰასპის“ საშუალებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

რაც საწარმოში სურსათის უვნებლობის ყველა საფრთხის წინასწარ გამოვლენას, აღმოფხვრას ან ამ საფრთხეების პრევენციის პროცედურების სისტემის ჩამოყალიბებას და სისტემატიურად განხორციელებას ნიშნავს.

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

*წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა გაიცა რეკომენდაცია დროულად შეასრულოს სტანდარტის შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები -* ***შესრულდა***

*ასევე, 5.2.1.1. კომპონენტთან დაკავშრებით, გაიცა რეკომენდაცია პროცესების სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაწესებულებამ დროუად უზრუნველყოს დამატებით კომპიუტერული ტექნიკის შეძენა -* ***დამატებითი კომპიუტერული ტექნიკა არ იქნა შეძენილი. დაწესებულების განმარტებით, პერსონალის უმეტესობა და სტუდენტები პირადი კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობენ, შესაბამისად, დაწესებულებას პირველ ეტაპზე შეძენილი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენების საჭიროება არ ჰქონია. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ტექნიკის შეძენას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

*არ დაფიქსირებული*

## IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*რეკომენდაციები არ გაცემულა*

## X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

კოლეჯი მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 18588 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია 1503.7 კვ.მ ფართის შენობა. აღნიშნული ნაგებობა რამდენიმე ბლოკისგან შედგება - სასწავლო-ადმინისტრაციული ბლოკი, კამპუსი პროფესიული სტუდენტებისათვის, სასტუმრო, ასევე ყველის ქარხანა და ფერმა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. დაწესებულებამ წარმოადგინა მის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან). კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები ახალი აშენებულია. გარემონტებული და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მოწყობილია გათბობა-გაგრილების სისტემები. ადაპტირებული და ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის (ადაპტირებულია სველი წერტილები, შესაბამისი სტანდარტების ლიფტი ყველა სივრცესთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წვდომას უზრუნველყოფს). სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (ავეჯი, ტექნიკა). მატერიალური რესურსის, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობა დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით: ნასყიდობის ხელშეკრულებებით, მიღება-ჩაბარების აქტებითა და რესურსების შესყიდვის დამდასტურებელი სხვა დოკუმენტაციით.

ადმინისტრაციულ-სასწავლო ბლოკი შედგება ადმინისტრაციისათვის განკუთნილი სივრცისაგან, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოსაგან (სივრცე აღჭურვილია 8 სტუდენტისა და მოდულის განმახორციელებლი პირისათვის საჭირო ტექნიკით - პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორით). *შენიშვნა: B გარემოსათვის განკუთნილი სივრცე არის საკმაოდ მოზრდილი, აქვს ორი კარი, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჭიროების შეთვევაში მოხდება აღნიშნული გარემოს გატიხვრა და დამატებით შეიქმნება კიდევ ერთი სასწავლო გარემო. ამ ეტაპზე B გარემო გამოიყენება AC გარემოს დატვირთვიაც (დაწესებულების მიერ შედგენილი სასწავლო ცხრილი იძლევა მითითებული სივრცის ამგავრად გამოყენების საშუალებას)* გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს ერთი A გარემო, ყველის ქარხნის ტერიტორიაზე ერთი AC გარემო და C გარემო ფერმის ტერიტორიაზე.

კოლეჯის კამპუსი გათვლილია 28 სტუდენტზე- მოწყობილია 14 (ორადგილიანი) ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, კამპუსის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია სველი წერტილები, სამრეცხაო და საშრობი სივრცე, ტერასები.

დაწესებულებას აქვს კაფეტერია (სამზარეულო) და სივრცე სტუმრებისათვის (6 ნომერი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სივრცეების ფლობის დამდასტურებელი სპეციალური შევსებული ფორმისა და აზომვით ნახაზების შესწავლითა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი სავალდებულო სივრცეების არსებობა - თეორიული სწავლების აუდიტორია/ები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორია/ები ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის (დაწესებულების ფოიეში მოწყობილია სივრცე მაგიდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- -

PDF Eraser Free

ჩოგბურთისათვის, ასევე მუსიკალური ინსტრუმენტით და ჯგუფრი შეკრების ადგილი), სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები (ფერმა, ყველის ქარხანა), სივრცე არქივისთვის, სივრცე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის.

*ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.*

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის**

პსდ-ს დირექტორის 2021 წლის 17 აგვისტოს N 22 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე, დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს მატერიალურ-ტექნიკური სერვისებითა და ინფრასტრუქტურით სარგებლობის საკითხს. რომლის თანახმადაც სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია, როგორც საერთო სარგებლობის სივრცეები, ისე დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სივრცეები ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და ჯგუფური სამუშაოებისათვის (მაგ. დაწესებულების ფოიეში მოწყობილია სივრცე სპორტული და შემოქმედებითი აქტივობებისათვის, ასევე სივრცე ჯგუფური სამუშაოებისათვის) დაწესებულების შენობა ადაპტირებულია, შესაბამისად, ყველა სივრცე ხელმისაწვდომია შშმ სტუდენტებისათვისაც. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს მატერიალური-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- -

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს, სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესები საერთო სარგებლობის სივრცებისა და რესურსები ხელმისაწვდომობის კუთხით დაცულია.

***ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.***

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები**

დაწესებულებაში მოქმედი „სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის წესის“ თანახმად, კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნვა ევალება დამლაგებელს, რაც გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში. სანიტარულ-ჰგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი ევალება კამპუსის მენეჯერს. სტუდენთა საცხოვრებელ ოთახებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ევალება სტუდენტს. ვიზიტის დროს განხორციელებული დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სანიტარული კვანძების დასუფთავება და სისუფთავის მონტორინგი ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში, საათობრივად გაწერილი განრიგის მიხედვით. სანიტარული კვანძები აღჭურვილია ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის საჭირო ინვენტარით. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ყველა სველი წერტილი, მათ შორის საშხაპეები უზრუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით, სავენტილაციო სისტემებით.

სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის წესის თანახმად, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება ყოველკვირეული მონიტორინგი და ყოველთვიური გენერალური დასუფთავება-დეზინფექცია.

***ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

კოლეჯის ადმინისტრაციულ-სასწავლო სივრცე, სამზარეულო და კამპუსის შენობა, ასევე ყველის ქარხნა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სიტემით, კოლეჯი სრულდაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის საქვაბე სისტემა დამონტაჟებულია შესაბამის ტექნიკურ ოთახში. სისტემის გამართული ფუნქციონირება დასტურდება ადგილზე შემოწმებით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სიტემით.

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის N 14 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" შრომის უსაფრთხოების დებულება, საგანგებო რეაგირების შტაბის და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი აქტები. ასევე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. დაწესებულებას ჰყავს კანონმდელობის მოთხოვნის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის მოვალეობაშიც შედის კოლეჯის მთელს ტერიტორიაზე უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

შრომის უსაფრთხოების დებულებით გაწერილია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, შრომის უსაფრთხოების სისტემის, რისკების გამოვლენისა და მართვის ღონისძებები. ასევე, განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტებზე (ყველის ქარხანა და ფერმა) უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე და კონტროლზე პასუხისმგებელი პირები. კოლეჯის პერსონალისათვის შრომის უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ დაწესებულება ზრუნავს შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის ყველის ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხო ადგილისაკენ გასასვლელი მანიშნებლები, ცეცხლმაქრები. კომპეტენტურ ორგანოსთან საკონტაქო ინფორმაცია.

*ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.*

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის განკარგვის წესი, რომელშიც გაწერილია კოლეჯის საქმინობისათვის ინვენტარის, მასალისა და საჭირო ნედლეულის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესი, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესი, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი. სასწავლო პროცესის საჭირო მასალით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მიზნით, რეგულაციით განსაზღვრულია საჭირო რესურსის/ნედლეულის შეძენის პროცედურა, ვადები და პასუხისმგებელი პირები (მატერიალური რესურსების მენეჯერი, ბუღალტერი). ვიზიტის განხორციელების დროისთვის, სასწავლო პროცესი დაახლოებით ერთი თვის დაწყებული იყო. გასაუბრებებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალითა და ნედლეულით. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მოდულების განმახორციელებლებისათვის ცნობილია საჭირო მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურები.

*ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს  ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დირექტორი 2021 წლის 4 მარტის N 5 ბრძანება) და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (დირექტორი 2021 წლის 17 მარტის N 10 ბრძანება). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულების საქმინობის ხარისხის უზრუნველყოფის გარდა, რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას ითვალისწინებს, რისთვისაც დაწესებულებას შესაბამისი კვლევების განხორციელება აქვს დაგეგმილი.  დოკუმენტით გაწერილია კვლევის სახეობები (დაკვირვება, გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა), კვლევის სრული ციკლი, კვლევების განხოცილების პერიოდულობა - საკვლევი საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ხარისხის სამოქმედო გეგმაში გაწერილია დაწესებულების ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საკითხები, შესაბამისი პერიოდის მითითებით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რესურსებით კმაყოფილების ნაწილში  დაწესებულებამ გარკვეული კვლევების განხორციელება უზრუნველყო. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა  კვლევის შედეგად გამოვლინილი ძირითადი მიგნებები და კვლევის კითხვარის ფორმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის მიხედვით, მატერიალური რესურსების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება დაგეგმილია მომავალი წლის პირველ კვარტალში.

***ექსპერტთა შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- -

PDF Eraser Free

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

დაწესებულებაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და აქვს უწყვეტი განათება/ვენტილაცია. სველი წერტილები სათანადოდაა მოწყობილი და აღჭურვილია ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის საჭირო მასალებით. სანიტარული კვანძები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისათვის. ადმინისტრაციულ-სასწავლო შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია ორ-ორი სველი წერტილი (მამაკაცებისა და ქალებისთვის, ორ-ორი კაბინით), ორივე მათგანი ადაპტირებულია (თითოეული სანიტარული კვანძი შედგება ორი განყოფილებისაგან, რომლიდანაც ერთი ადაპტირებულია), მეორე სართულზე არსებული სველი წერტილი ხელმისაწვდომია შენობის ფოიეში არსებული ადაპტირებული ლიფტის საშუალებით. ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებულია ყველის ქარხნის ტერიტორიაზეც. სველ წერტილებში სანიტარული ნორმები უზრუნველყოფილია მაღალ დონეზე.

*ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში გამიჯნული სანიტარული კვანძები სათანადოდაა მოწესრიგებული, მარაგდება წყლითა და ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის აუცილებელი საშუალებებით, ხელმისაწვდომია ყველა სტუდენთისათვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისათვისაც.*

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

\- -

PDF Eraser Free

დაწესებულების დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებულ ყველა სასწავლო ფართსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო ოთხას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სივრცეების ფლობის დამდასტურებელი სპეციალური შევსებული ფორმის, შენობის აზომვით ნახაზებისა და სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაწესებულებაში არსებული ყველა სივრცე იზოლირებულია და აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი.
*ექსპერტთა შეფასებით, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.*

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დაწესებულებას აქვს სათანადოდ მოწყობილი და აღჭურვილი დუპლექსის ტიპის ბიბლიოთეკა, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია სამუშაო სივრცე ოთხ ადამიანზე (შესაბამისი რაოდენობის მაგიდა/საკამებითა და კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით), მეორე სართულზე არსებულ სივრცეში განთავსებულია წიგნადი ფონდი, რომელიც მოიცავს როგორც პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გათვალისწინებულ სასწავლო მასალას, ისე დამატებით პროფესიულ ლიტერატურასა და მხატვრულ ლიტერატურას (მცირე რაოდენობით). წიგნადი ფონდის გადამოწმებით დგინდება, რომ საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვარიანტიც, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ყველასათვისაა ხელმისაწვდომი (https://bit.ly/3vHy3jM)

დირექტორის 2021 წლის 4 მარტის N 5 ბრძანებით დამტკიცებულია ბილიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისა და ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობის წესს, როგორც სტუდენტების, ისე კოლეჯის პერსონალისა და პროგრამების განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილია რესურსებზე წვდომა.

***ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსი, სათანადოდაა დამუშავებული და ხელმისწავდომია მომხამრებლებისათვის.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

ა) ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;

ბ) მატერიალური რესურსი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) მატერიალური რესურსის განკარგვის წესი - დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 17 აგვისტოს N 22 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დ) საგანმანათლებლო რესურსის ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ე) შრომის უსაფრთხოების დებულება, შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი აქტები;

ვ) შრომის უსაფრთოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;

ზ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დირექტორი 2021 წლის 4 მარტის N 5 ბრძანება);

თ) ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (დირექტორის 2021 წლის 17 მარტის N 10 ბრძანება);

ი) სანიტარულ ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის წესი;

კ) აზომვითი ნახაზები;

ლ) სივრცეების ფლობის დამადასტურებელი სპეციალური შევსებული ფორმა;

მ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ნ) ელექტრონული კატალოგი/რესურსი https://bit.ly/3vHy3jM.

ო) დაწესებულების პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;

პ) დათვალიერების შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობების მდგრადობის შესახებ. დასკვნის თანახმად, ადმინისტრაციულ-სასწავლო შენობა და ყველის ქარხანა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.
კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიას შენობა-ნაგებობების და ყველის ქარხნის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასკვნის გაცემის დროისათვის დაწესებულებაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. დასკვნის გამცემი ორგანოს მიერ დაწესებულებას დაევალა, სწავლის დაწყების მომენტისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, ხანძარსაწინააღდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით. დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნული ინსტრუქტაჟის ჩატარება.

***ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.***

**2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის N 14 ბრძანებით დამტკიცებული შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიას“ შრომის უსაფრთხოების დებულების, საგანგებო რეაგირების შტაბის და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი აქტები, რომლის თანახმადაც, განსაზღვრულია წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დოკუმენტით დადგენილია შესაბამისი პირი, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, ევალება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, აღნიშნული ფუნქიცია, დაკისრიებული აქვს შრომის უსაფრთოების უმცროს სპეციალისტს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება. ამასთან, აღნიშნული ფუნქცია გაწერილია მის სამუშაო აღწერილობასა და ხელშეკურლებაში. დაწესებულებას აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია და ყველასათვის ხელმისწავდომია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

***ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მოიცავს - საგანგებო სიტუაციების შტაბისა და საგანგებო ჯგუფის მოქმედების ინსტრუქციას. დოკუმენტით გაწერილია შტაბის შემადგენლობა და განსაზღვრულია კონკრეტული სიტუაციაზე პასუხისმგებელი პირი და მათი ფუნქციები, საგანგებო სიტუაციაში კომუნიკაციის წესები. შენობის მთელს პერიმეტრზე განთავსებულია საგანგებო სიტუაციების დროს შენობიდან ევაკუაციის გეგმა, ასევე საგანგებო სიტუაციების დროს შესაბამის ორგანოსთან საკონტაქტო ინფორმაცია. საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების წესის ცოდნა სავალდებულოა კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისათვის. კოლეჯის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ევალება საგანგებო სიტუაციების დროს აუცილებელი ქცევის წესების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარება. დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება. გასაუბრებით დადგინდა, რომ საგანგეო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა როგორც პერსონალს, ისე სტუდენტებს და მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა საგანგებო სიტუაციებში მოქცევის შესახებ.

*ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი*

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- -

PDF Eraser Free

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, წესრიგსა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ დაცვის თანამშრომელს, რომელიც საღამოს 7 საათიდან დილის 7 საათამდე უზრუნველყოფს კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას (რაც დასტურდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც). დღის საათებში აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული აქვს მატერიალური რესურსების მენეჯერს, რაც თავის მხრივ, გაწერილია მის სამუშაო აღწერილობასა და შრომით ხელშეკრულებაში.

კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსებულია ვიდეო ჩაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა, რომელიც ფარავს როგორც კოლეჯის შიდა ტერიტორიას (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო ოთახების, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა), ასევე გარე პერიმეტრსა და ყველის ქარხნის შენობას. ვიზიტის დროს, ექსერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება. *შენიშვნა: მატერიალური რესურსი განგარკვის წესის მე-8 მუხლის მე-3 ქვეპუნქტით ვიდეო თვალთვალის შესახებ მარფრთხილებელი ნიშნები განთავსებული უნდა იყოს დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე. დათვალიერების შედეგად, აღნიშნული მანიშნებლები არ იქნა ნანახი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სხვა საინფორმაციო და მანიშნებელი ხასიათის მასალასთან ერთად (რაც დასტურდება დათვალიერებით) ვიდეო თვალთვალის მიმდინარეობის მანიშნებელიც ჰქონდათ გამოკრული, რომელიც, სავარაუდოდ არამყარი ფიქსაციის გამო აღარ იყო სხვა მანიშნებლებთან ერთად წარმოდგენილი. დაწესებულეამ ადგილზევე უზრუნველყო აღნიშნულის გამოსწორება.*

**ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) კომპეტენტური  ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობეის მდგრადობის შესახებ;

ბ) კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო ტექნიკური შემოწმების შესახებ:

გ) საგანგეო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;

დ) შინაგანწესი;

ე) წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის N 14 ბრძანებით *დანართი N 5);

ვ) პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;

ზ)პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებების დათალიერების შედეგი;

თ) წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ი) ვიდეო მონიტორინგის სიტემების მიწოდებისა და მონტაჟის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;

კ) ვიდეო მონიტორინგის სისტემების მუშაობის შემოწმების შედეგი;

ლ) დათვალიერების შედეგი;

მ) კოლეჯის პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-                                                                   -

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

